**2024 წლის 23 ივნისს**, ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ორგანიზებით გაიმართება **სტუდენტთა VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.**

კონფერენცია ინტერდისციპლინურია და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს და უცხოეთის ავტორიზებული უნივერსიტეტების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებს.

კონფერენცია მიზნად ისახავს საზღვაო მეცნიერებების, ლოგისტიკის, მენეჯმენტის, ბიზნესის ადმინისტრირებისა და ეკონომიკის თანამედროვე პროცესებისა და გამოწვევების განხილვას, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებს შორის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებასა და ურთიერთთანამშრომლობის წახალისებას.

კონფერენციის ნაშრომთა კრებულში დაიბეჭდება ის ნაშრომები, რომლებიც მოწონებული იქნება კონფერენციის სამეცნიერო საბჭოს მიერ და დააკმაყოფილებს ნაშრომისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

**კონფერენციის სამუშაო სექციებია:**

- საზღვაო მეცნიერებები;
- ლოგისტიკა;
- ჰუმანიტარული, სოციალური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
- ბიზნესის ადმინისტრირება.

**მოთხოვნები:**

- ✓ საკონფერენციო ნაშრომი უნდა ეხებოდეს კონკრეტულ პრობლემურ საკითხს და იყოს აქტუალური.
- ✓ ნაშრომი სრულდება ინდივიდუალურად ან გუნდურად (მაქსიმუმ სამი წევრი).
- ✓ ნაშრომს უნდა ჰყავდეს მეცნიერ-ხელმძღვანელი.

**კონფერენციის სამუშაო ენები:** ქართული, ინგლისური.

**კონფერენციის ფორმატი:** მოხსნების დრო - 10 წუთი, კითხვა-პასუხი/დისკუსია - 5 წუთი.

**კონფერენციის ჩატარების ფორმატი:** ჰიბრიდული

**მნიშვნელოვანი თარიღები:**

- **30 მაისის ჩათვლით** - მონაწილეთა მიერ განაცხადის ფორმის შევსება და აბსტრაქტის წარმოდგენა.
- **5 ივნისი** - სრული ნაშრომების წარმოდგენა;
- **23 ივნისი** - ნაშრომების ზეპირი წარდგენა კონფერენციაზე.

## ნაშრომის გაფორმების წესი

ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს Word-ის ფორმატში.

**რედაქტორის პარამეტრები:**

- ფურცლის ზომა - A4;
- მინდორი: ზევით-ქვევით - 2 სმ; მარჯვნივ-მარცხნივ – 2 სმ;
- შრიფტი - ქართული - sylfaen, ინგლისური - Times new roman;
- შრიფტის ზომა: ძირითადი ტექსტი - 12; სატაურები/ქვესათაურები - 14 (bold).
- სტრიქონებს შორის მანძილი -1,15;
- გვერდების რაოდენობა - მაქსიმუმ 10, გამოყენებული ლიტერატურის ჩათვლით.

**თავფურცელი:**

- თემის სახელწოდება: sylfaen, 16 bold, ცენტრში.
- ავტორი: (სახელი გვარი), sylfaen 14, bold, ცენტრში.
- სასწავლო დაწესებულება, სწავლების საფეხური sylfaen 14, ცენტრში.
- ხელმძღვანელის სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი, მარჯვნივ, sylfaen 12.

**ძირითადი ტექსტის სტრუქტურა:**

- აბსტრაქტი (ქართულად და ინგლისურად), 200 – 300 სიმბოლო
- საკვანძო სიტყვები (მინიმუმ 3, მაქსიმუმ 5)
- შესავალი
- ძირითადი ტექსტი
- დასკვნა
- გამოყენებული ლიტერატურა (APA Style)

კონფერენციაზე წარმოდგენილი ყველა ნაშრომი გაივლის შემოწმებას პლაგიატზე. ნაშრომი, რომელიც შეიცავს პლაგიატს მოიხსნება კონფერენციიდან.

კონფერენციაში მონაწილეობის მსურველებმა 2024 წლის 30 მაისის ჩათვლით უნდა გაიარონ რეგისტრაცია შემდეგ მისამართზე: https://forms.gle/EdojxzaU4N1RScMq8

დამატებითი შეკითხვების შემთხვევაში გთხოვთ მოგვმართოთ:
ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი,
კვლევების ცენტრი, ოთახი №220
studconference2024@bntu.edu.ge
abashidzegiorgi@outlook.com